

ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი



ძვირფასო მკითხველო,

„ზიანის შემცირების საქართველოს ქსელმა“ განაახლა ყოველთვიური ელექტრონული საინფორმაციო ბიულეტენის გამოცემა. ბიულეტენი განკუთვნილია „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ წევრთათვის და მისი შინაარსიც ამან განაპირობა: ქსელის წევრ ორგანიზაციებში ჩატარებული შეხვედრების მიმოხილვა, საერთაშორისო სიახლეები ზიანის შემცირების საკითხებზე, ასევე, თვის ყველაზე მნიშვნელოვანი ამბები ზიანის შემცირების სფეროში. ელექტრონულ ბიულეტენში, იხილავთ ინფორმაციას „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ წევრი ორგანიზაციების აქტივობების შესახებ და მომდევნო თვის შეხვედრების ანონსს. საინფორმაციო ბიულეტენი ქართულენოვანია და ელექტრონული ფოსტით გაეგზავნება „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის“ ორგანიზაციების წარმომადგენლებს და მხარდამჭერებს.

24 მარტი ტუბერკულოზის მსოფლიო დღე

ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის ინიციატივით 1982 წლიდან ყოველწლიურად 24 მარტს ტუბერკულოზთან ბრძოლის მსოფლიო დღე აღინიშნება. ამ დღეს მთელს მსოფლიოში, მათ შორის საქართველოში, სხვადასხვა ტიპის აქციები იმართება. წელს ტუბერკულოზის მსოფლიო დღის თემა იყო გლობალური მზაობა ტუბერკულოზის ეპიდემიის დასამთავრებლად – „Unite to End TB“ – „გავერთიანდეთ ტუბერკულოზის დასამარცხებლად“.



24 მარტს, თბილისში, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის მიმდებარე ტერიტორიაზე საქართველოს წითელი ჯვრის საზოგადოებისა და საქართველოს ტუბერკულოზის კოალიციის ორგანიზებით აქცია გამართა, რომლის მიზანი იყო ტუბერკულოზის პრობლემისადმი საზოგადოების ინტერესის გაზრდა და ტუბერკულოზით დაავადებულთა მხარდაჭერა.

აქციას „გავერთიანდეთ ტუბერკულოზის დასამარცხებლად“ „ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი“ და „ნარკოტიკების მომხმარებელთა საქართველოს ქსელი“ შეუერთდა.

შეხვედრა ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის ოფისში



28 მარტს ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის ოფისში საადვოკაციო შეხვედრა გაიმართა, რომელიც მიზნად ისახავდა არსებული სიტუაციის, კერძოდ კი ბოლო პერიოდში პოლიციის ზეწოლის გაძლიერების ფაქტების განხილვას ზიანის შემცირების პროგრამებთან მიმართებაში და საპასუხო ღონისძიებების დაგეგმვას.

შეხვედრას, რომელსაც ზიანის შემცირების საქართველოს ქსელის აღმასრულებელი დირექტორი კახა კვაშილავა უძღვებოდა ესწრებოდნენ ორგანიზაციების: „ახალი გზა“, „ახალი ვექტორი“, „ჰეპა+“, „აკესო“, „იმედი“ წარმომადგენლები და ბენეფიციარები. შეხვედრაზე მსჯელობა იმ პრობლემური საკითხების ირგვლივ წარიმართა, რომელსაც ზიანის შემცირების პროგრამის წარმომადგენლები პერიოდულად პოლიციასთან ურთიერთობისას აწყდებიან. დამსწრეებმა აღნიშნეს, რომ მიუხედავად შსს-ში შეხვედრაზე მაღალჩინოსნებისგან მიღებული დაპირებისა დამოკიდებულება ზიანის შემცირების პროგრამების განმახორციელებლების და ბენეფიციარების მიმართ პრაქტიკაში არ შეიცვალა. გამოიკვეთა შემდეგი ფაქტები: ბათუმის სერვის ცენტრს „იმედი“ სისტემატურად უბნის რწმუნებული აკითხავს და კონტროლის დამყარებას ითხოვს, უკრძალავს მათ აივანზე შეკრებას - კითხულობს თუ რატომ დადის ამდენი ადამიანი ოფისში, ბენეფიციარებს უღებენ სუ-

რათებს. ასევე განხილულ იქნა ბათუმის სოც მუშაკის დევნის ფაქტი. ცენტრის „ჰეპა+“ წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ხშირად მათ ოფისის წინ ავტომანქანიდან უთვალთვალებენ და ცენტრში შესულ და გამოსულ ყველა ბენეფიციარს უღებენ სურათებს. ერთერთი სოც მუშაკი გააჩერეს და პირადობის მოწმობა გამოართვეს, რის შემდეგაც უთხრეს, რომ ნასამართლეობა აქვს, რომ არის მეტადონის პროგრამის ბენეფიციარი (წესით ეს ინფორმაცია არის კონფიდენციალური და არ უნდა იყოს პოლიციისთვის ხელმისაწვდომი). ცენტრის „აკესო“ სოც მუშაკი ასევე ქუჩაში დაკითხეს, თუ ვინ იყო, რას საქმიანობდა და ა.შ. ორგანიზაციის „ახალი გზა“ წარმომადგენლების თქმით მობილური ამბულატორიის ბრიგადას ქუჩაში მანქანის გაჩერებასთან დაკავშირებით ხშირად აქვს პოლიციასთან პრობლემა. მათ სთხოვეს დროულად დაძრან მანქანა და ხელს უშლიან ტესტირების ჩატარებაში. ითხოვეს საბუთს, აქვთ თუ არა ნებართვა ამ საქმიანობის განსახორციელებლად. რამდენჯერმე სურდათ ჯარიმების გამოწერაც. როგორც გლობალური ფონდის შიდსის პროგრამის დირექტორმა მაკა გოგიამ აღნიშნა საჭიროა მეტად დაბალანსებული და კოორდინირებული მუშაობა ყველადონის დაინტერესებულ მხარეებს შორის, რათა პროგრამების გამართულ მუშაობას ხელი არ შეეშალოს, სისტემურ დონეზე უნდა მივაღწიოთ შეთანხმებას. თუ აღნიშნული შემთხვევები მომავალშიც გაგრძელდება ეს ბენეფიციარების დაკარგვას გამოიწვევს და გლობალური ფონდის პროგრამის განხორციელებას საფრთხე დაემუქრება. შეხვედრის ძირითადი ნაწილი დაეთმო სამოქმედო გეგმის განსაზღვრას. დასასრულს, მონაწილეები შეთანხმდნენ, რომ მიმდინარე კვირაში დაიწერება ერთიანი წერილი ქვეყნის საკოორდინაციო საბჭოს, შსს მინისტრის და აჭარის შსს მინისტრის სახელზე. ასევე წერილით მიმართავენ სახალხო დამცველს და human rights watch-ის წარმომადგენლობასაც.

პაციენტთა თემის საკონსულტაციო საბჭოს შეხვედრა

1-2 აპრილს თბილისში, სასტუმრო „ბომონდ გარდენში“ „პაციენტთა თემის საკონსულტაციო საბჭოს“ (Ge-CAB) შეხვედრა გაიმართა. სამუშაო ჯგუფის შეხვედრა დაიგეგმა C ჰეპატიტის სახელმწიფო ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში არსებული ბარიერების იდენტიფიცირებისა და ტექნიკური საკონსულტაციო ჯგუფის (TAG) რეკომენდაციების განხილვის მიზნით. პაციენტთა თემის წარმომადგენლების მიერ ქვეყნის 8 რეგიონიდან გაზიარებულ იქნა ინფორმაცია სახელმწიფო ელიმინაციის პროგრამის ფინანსურ ბარიერებთან დაკავშირებით და ანალიზის შედეგად შემუშავებულ იქნა რეკომენდაციები. შეხვედრაზე Ge-CAB-ის სტრატეგიული განვითარების შესახებ სამომავლო გეგმები დაისახა. C ჰეპატიტის სახელმწიფო ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში ფინანსური ბარიერების შესახებ და შემუშავებული რეკომენდაციების თაობაზე ინფორმაცია Ge-CAB-ის მიერ წარმოდგენილ იქნა C ჰეპატიტის ელიმინაციის მესამე ეროვნულ სამუშაო შეხვედრაზე, რომელიც გაიმართა მიმდინარე წლის 6-8 აპრილს თბილისში, ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრში. სამუშაო შეხვედრაზე განხილულ იქნა სახელმწიფო ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში პრიორიტეტული საკითხები:

- ▶ C ჰეპატიტის პოპულაციური სეროპრევალენტობის კვლევის შედეგები;
- ▶ ელიმინაციის პირველი ფაზის შედეგები;
- ▶ ელიმინაციის გრძელვადიანი სტრატეგია (2016-2020).

პაციენტთა თემი აქტიურადაა ჩართული ელიმინაციის პროგრამის ფარგლებში პრობლემების იდენტიფიცირების და გადაჭრის პროცესში. შეხვედრაზე თემის წარმომადგენლების მიერ აქცენტი გაკეთდა ნარკოტიკების მოხმარების დეკრიმინალიზაციის და ზიანის შემცირების პროგრამების მხარდაჭერის აუცილებლობაზე.





C ჰეპატიტის ელიმინაციის მესამე ეროვნული სამუშაო შეხვედრა

2016 წლის 6-8 აპრილს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ორგანიზებით, აშშ-ს დაავადებათა კონტროლისა და პრევენციის ცენტრის, ფარმაცევტული კომპანია გილეადის, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციისა და ევრაზიის ზიანის შემცირების ქსელის მხარდაჭერით **C ჰეპატიტის ელიმინაციის მესამე ეროვნული სამუშაო შეხვედრა** გაიმართა.

შეხვედრა გახსნეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა დავით სერგეენკომ და აშშ-ის ელჩმა საქართველოში იან კელიმ. გახსნის შემდეგ გაიმართა პრეს-კონფერენცია. დავით სერგეენკოს განცხადებით, ამ შეხვედრას ერთგვარი შეჯამების ფუნქცია ჰქონდა და ამოცანად ისახავდა მთავარი მიმართულების განხილვას.

შეხვედრის მეორე დღე სრულად ზიანის შემცირების პროგრამების საკითხებს დაეთმო. სესიას „ზიანის შემცირების მნიშვნელობა ნარკოტიკის ინექციურ მომხმარებლებში C ჰეპატიტის ელიმინაციისთვის“ ზიანის შემცირების ევრაზიის ქსელის წარმომადგენ-

■ „პირველი ეს არის ის, რომ კრედიტულად ერთი წელი შეხრულდა ჰეპატიტის აღმოფხვრის პროგრამის დაწყებიდან და ერთგვარი შეჯამება ამ ერთწლიანი ეტაპის. მეორე – ნარდგენა უკვე დახვეწილი და შეჯამებული მონაცემების და მესამე – ახალი სტრატეგიის ნარდგენა, რომლის მიხედვითაც, 2016-2020 წლების განმავლობაში ვიმუშავებთ ჩვენს პარტნიორებთან ერთობლივად“, – განაცხადა სერგეენკომ.





ლები უძღვებოდნენ. სესია გლობალური ფონდის მიერ დაფინანსებული რეგიონალური პროექტის „ზიანის შემცირება მუშაობს-დააფინანსეთ!“ ფინანსური მხარდაჭერით გაიმართა. აღსანიშნავია, რომ პროექტს ეროვნულ დონეზე ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი ახორციელებს.

აღსანიშნავია, რომ ნარკოტიკის ინექციური მომხმარებლები (ნიმ-ები), როგორც ინფექციისადმი ყველაზე მოწყვლადი თემი, გრძელვადიან პროგრამაში ჩართვის პრიორიტეტულ ჯგუფად განიხილება. ელიმინაციის პროგრამის ეროვნული სტრატეგიის ზიანის შემცირების ნაწილში გათვალისწინებულია სერვისებით მოცვის ზრდა იმისათვის, რათა მოხდეს ნიმებს შორის შემთხვევების დროული გამოვლენა, სამკურნალო პროგრამებში გადამისამართება, სოციალური თანხლება და

ახალი შემთხვევების პრევენცია ხარჯთეფექტური ინვესტიციების მეშვეობით.

სესიაზე იმსჯელეს ღონისძიებებზე და მასშტაბებზე (ინდიკატორები), რომლებიც სახელმწიფო ინსტიტუტებმა სამოქალაქო საზოგადოებისა და სათემო ორგანიზაციებთან შეთანხმებით და პარტნიორობით უნდა განახორციელონ, რათა გარანტირებული იყოს ზიანის შემცირების სერვისების მდგრადობა ძირითადი მოწყვლადი ჯგუფებისთვის, როგორც გარდამავალ პერიოდში, ისე გრძელვადიან პერსპექტივაში. უახლოეს მომავალში უნდა მოხდეს აივ/შიდსის პრევენციის და ზიანის შემცირების პროგრამების C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში მეტი ინტეგრირებისთვის სტრატეგიის სრულყოფა.

სესიის ამოცანებს შეადგენდა: C ჰეპატიტის ელიმინაციის პროგრამაში ნიმ-ებთან მიმართებაში გათვალისწინებული ინტერვენციების მიზნის, ამოცანების, ღონისძიებების და სამიზნე ინდიკატორების განხილვა; გლობალური ფონდის გრანტის ფარგლებში ზიანის შემცირების ინტერვენციების დაფინანსების მიმდინარე მდგომარეობის მიმოხილვა და დაფინანსების სახელმწიფო წყაროზე გადასვლის პერსპექტივების განხილვა; სამოქალაქო საზოგადოებისა და სათემო ორგანიზაციების როლის იდენტიფიცირება ზიანის შემცირების მიდგომის ადვოკატირებაში C ჰეპატიტის პოლიტიკისა და სტრატეგიის შემუშავებაში და გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ღონისძიებების განხორციელებასა და მონიტორინგში.



სამუშაო შეხვედრას დაესწრნენ ადგილობრივი ექსპერტები სამთავრობო სექტორიდან და არასამთავრობო ორგანიზაციებიდან, კლინიცისტები, საერთაშორისო ექსპერტები, აშშ-ის დაავადებათა კონტროლის ცენტრების, კომპანია გილეადის, ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის, ზიანის შემცირების საქართველოს ქსელისა და ევრაზიის ზიანის შემცირების ქსელის წარმომადგენლები.

აღნიშნული შეხვედრა უკვე მესამე წელია ტრადიციულად იმართება გაზაფხულზე და მის ფარგლებში განიხილება C ჰეპატიტის პრევენციისა და კონტროლის მნიშვნელოვანი საკითხები. 2014 წელს ამ შეხვედრაზე პირველად მოხდა საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის შესაძლებლობის განხილვა. 2015 წლის სამუშაო შეხვედრის მთავარი მიზანი იყო ელიმინაციის პროგრამის გადაუდებელი ღონისძიებების (პირველი ფაზა) გეგმის შემუშავება.

წლევანდელი სამუშაო შეხვედრის მიზანი იყო საქართველოში C ჰეპატიტის ელიმინაციის



პროგრამის ისეთი მნიშვნელოვანი საკითხების განხილვა, როგორცაა: C ჰეპატიტის სეროპრევალენტობის პოპულაციური კვლევის შედეგები; ელიმინაციის პირველი ფაზის შედეგები; ელიმინაციის გრძელვადიანი სტრატეგია (2016-2020). სამუშაო შეხვედრა დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის საკონფერენციო დარბაზში გაიმართა.

ზიანის შემცირების ევრაზიის ქსელის შესახებ



ზიანის შემცირების ევრაზიის ქსელი (EHRN) არის ზიანის შემცირების ორგანიზაციების, პროგრამების და მათი მოკავშირეების რეგიონალური ქსელი აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის რეგიონში. ქსელში გაერთიანებული ორგანიზაციები ავითარებენ და მხარს უჭერენ ზიანის შემცირების მიდგომებს ისეთ საკითხებში, როგორცაა ნარკოტიკის მოხმარება, აივ/შიდსის პრევენცია და საზოგადოებრივი ჯანმრთელობა და ამოღიან ტოლერანტობის, პარტნიორობის, ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო თავისუფლებების პრინციპებიდან. ზიანის შემცირების ევრაზიის ქსელის მისიაა ნარკოტიკის მოხმარებასთან მიმართებაში ჰუმანური და მტკიცებულებებზე დამყარებული ზიანის შემცირების მიდგომების დამკვიდრება, ინდივიდუალურ, სათემო და საზოგადოებრივ დონეზე ჯანმრთელობის გაუმჯობესებისა და ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით.



„ზიანის შემცირება მუშაობს – დააფინანსეთ!“

რეგიონალური პროგრამა „ზიანის შემცირება მუშაობს – დააფინანსეთ!“ სამწლიანია (2014-2017) და მას აფინანსებს შიდსთან, ტუბერკულოზთან და მალარიასთან ბრძოლის გლობალური ფონდი (გლობალური ფონდი). პროგრამა ხორციელდება 2014 წლის 1 აპრილიდან. გრანტის მართვას ახორციელებს ზიანის შემცირების ევრაზიის ქსელი. პროგრამის მიზანია აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნებში ზიანის შემცირების პროგრამებში ინვესტიციის საჭიროების ადვოკატირება სამოქალაქო სექტორის, კერძოდ კი ნარკოტიკების მომხმარებელთა თემის გაძლიერებით და მათი უშუალო ჩართულობით. პროგრამის ძირითადი ამოცანებია: 1) ხელშემწყობი გარემოს უზრუნველყოფა ზიანის შემცირების პროგრამების სახელმწიფო (და სხვა დონორების) სტაბილური დაფინანსების მოსაპოვებლად; 2) ნარკოტიკების მომხმარებელთა თემის პოტენციალის გაძლიერება ზიანის შემცირების მომსახურების უზრუნველყოფის ეფექტური ადვოკატირებისათვის. პროგრამა ხორციელდება რეგიონის 6 ქვეყანაში – ბელორუსში, საქართველოში, ყაზახეთში, მოლდოვაში, ტაჯიკეთსა და ლიტვაში. ევრაზიის ქსელი თითოეულ ქვეყანაში თანამშრომლობს ერთ არასამთავრობო ორგანიზაციასთან (სუბ-რეგიონი) და სამ სათემო ორგანიზაციასთან (სუბ-სუბ-რეგიონი), რომელთა შერჩევაც საგრანტო კონკურსის საფუძველზე მოხდა.

ზიანის შემცირების საქართველოს ქსელი

რედაქტორი: მარინა ასათიანი

დამატებითი ინფორმაციისთვის შეგიძლიათ
დაუკავშირდეთ ზიანის შემცირების საქართველოს
ქსელის მედია კოორდინატორს მარინა ასათიანს
ელექტრონულ მისამართზე
marinaasatiani@yahoo.com

ან

მოგვწერეთ თქვენი მოსაზრებები, შეხედულებები,
გაგვიზიარეთ საკუთარი გამოცდილება და საქმიანობაში
მიღწეული წარმატებები მისამართზე:

თბილისი, 1060, ჟ. შარტავას 24,
მე-3 სართული, ბ. 6
ტელ.: ოფისი: +995 322 37 21 60
ელ.ფოსტა: *info@hrn.ge*
ვებ-გვერდი: *www.hrn.ge*

